



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლეების - -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

26 თებერვალი, 2018 წელი

ქ. თბილისი

#### დისციპლინური საქმე №113/17

-- 2017 წლის 28 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლეების - -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 2 თებერვალს №113/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, ქალბატონი - -- თავმჯდომარეობით, განიხილა სამოქალაქო საქმე --, აპელანტ -- სააპელაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე მხარის - -- მიმართ, -- სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით (დავის საგანი: არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა). საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა 2017 წლის 15 ივნისს. სასამართლოს შემადგენლობაში ქალბატონ -- ერთად, საქმეს განიხილავდა --. სხდომაზე მორიგების საკითხის განხილვისას, სასამართლომ მორიგების შესახებ აზრი

გამოიკვლია და მოისმინა მხოლოდ და მხოლოდ აპელანტის მხრიდან. მას შემდეგ რაც, საჩივრის ავტორმა სასამართლოს სთხოვა მოესმინა მორიგების შესახებ მის პოზიციაზე, მოსამართლეებისგან მიიღო არაკოლეგიური, არაკორექტული პასუხი, კერძოდ, მას როგორც ადვოკატს, თითქოსდა უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო მორიგების პირობების შეთანხმებაში, შესაბამისად მას არ მიეცა პოზიციის სასამართლოს წინაშე დაფიქსირების შესაძლებლობა. ღია სასამართლო სხდომაზე, რომელსაც მხარეთა გარდა კიდევ რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა, მოსამართლის - ქალბატონი -- მიერ მის მიმართ დაფიქსირდა მიმართვა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ პირველად იღებთ მონაწილეობას საქმის მორიგებით დასრულებაში?“. მსგავსი სახით ღირსების შემლახავი, არაკორექტული და დამამცირებელი ფრაზით სასამართლომ შებღალა, ეჭვქვეშ დააყენა მისი, როგორც ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, რითიც მოსამართლემ უხეშად დაარღვია სამოსამართლეო ეთიკის კოდექსით დაკისრებული ვალდებულებები.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ იმ გარემოებას, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდა საქმის მორიგებით დასრულებას, ადასტურებდა სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტი, რითიც საქმეზე შეწყდა წარმოება. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მის მიმართ დამსწრე საზოგადოების წინაშე იგრძნობოდა არაკორექტული, უხეში დამოკიდებულება, რაც გამოიხატებოდა, როგორც მის მიმართ გამოთქმულ მოსაზრებებში, ასევე ქალბატონი -- და -- დამამცირებელ მზერაში.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2016 წლის 26 აგვისტოს -- სარჩელით მიმართა -- სასამართლოს, მოპასუხის -- მიმართ, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მოთხოვნით.

-- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით -  
- უარი ეთქვა არასრულწლოვანი -- საცხოვრებელ ადგილად მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. -- სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა --

-- სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 30 მარტის განჩინებით -- სააპელაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე შეწყდა საქმის წარმოება, მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო.

## **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება**

„საქართველოს           საერთო           სასამართლოების           მოსამართლეთა           დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოსამართლის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერის დეტალურად გაცნობის შედეგად სხდომის თავმჯდომარის - მოსამართლისკ -- და

მოსამართლე -- მხრიდან, არც ერთი მხარის, მათ შორის არც -- მიმართ არაკორექტული ან არაეთიკური მიმართვის ფაქტი ან უხეში დამოკიდებულება არ გამოვლენილა. ამასთან, მოსამართლე -- მხარის წარმომადგენელს -- მიმართავს არა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფრაზით „თქვენ პირველად იღებთ მონაწილეობას საქმის მორიგებით დასრულებაში?“, არამედ შემდეგი სიტყვებით: „თქვენ პირველად ხომ არ მონაწილეობთ მორიგების დავებში, ხო, სხვა დროსაც გექნებოდათ ახლა და .... ასეთი ....“ (17:38:56)”, რაც არ წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან მხარის მიმართ ღირსების შემლახავ, არაკორექტულ ან/და დამამცირებელ მიმართვას და არ შეიცავს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ, მოსამართლეების -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №113/17 მოსამართლეების - -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი